დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტის" თავმჯდომარეს

ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" ფინანსური ანგარიშგების აუდიტი რომელიც შედგება 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ბალანსისაგან, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისაგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისაგან, აგრეთვე ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ერონული პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად. პასუხისმგებელია ასევე შიდა კონტროლზე, რომელიც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუიდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგემლობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ეროვნული პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად (სტანდარტი 700 და 705, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციები და სხვა ნორმატიული აქტები). აღნიშნული მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგაგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორიული მტკიცებულობების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები.

გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულობები საკმარისი და შესაფერისია დადებითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ეროვნული პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად.

გურამ კიკაბიძე
დირექტორი (აუდიტორი)

2013 წლის 22 მაისი
ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5